ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი # 3

ქ. ონი 22. 03. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ლევან ორდინიძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლევან ორდინიძე, ნინო გობეჯიშვილი, მერაბ ბიჭაშვილი, ბესიკი მაისურაძე, ნონა მაისურაძე, თამილა არჩვაძე, თორნიკე მეტრეველი, ფრიდონ გოგრიჭიანი, ეკა მაისურაძე.

არ ესწრებოდნენ: ვლადიმერ ბერელიძე, ნოდარ ბურდილაძე, თამაზ მეტრეველი, გიორგი მეშვილდიშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

2. ონის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ლ. ორდინიძემ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა კომისიის წევრებს წარუდგინა ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

კომისიამ იმსჯელა და მხარი დაუჭირა საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ლევან ორდინიძე

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე